გეომედი ლაიფი Geomedi Life

№13 (14) 2024 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

უნივერსიტეტ გეომედის მამაკაცები გილოცავთ

დედებს, ქალბატონებსა და სტუდენტ გოგონებს, ქალთა საერთაშორისო დღეებს! გისურვებთ გყავდეთ და გქონოდეთ ყველაფერი ის, რაც ყველა ქალის სურვილი და ოცნებაა - საყვარელი ადამიანი, მყარი ოჯახი, კარგი შვილები, კარიერული წარმატება, თვითრეალიზება, კარგი მეგობრები და კიდევ უამრავი სხვა, რაც თქვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელია...

ჩემი გულის სინათლე ხარ, სიყვარული, რწმენა ხარ,
თავისუფლად ვსუნთქავ დედი, როცა ჩემთან ერთად ხარ.
ჩემი დარდის მალამო ხარ, სულის აღმაფრენაც ხარ,
შენი თვალის შუქი დედი სულ დამყვება კელაპტრად.
შენი მკერდში ჩახუტება, გულს მედება მე თაფლად.
შენი ტკბილი ხმის ნაჟღერი ჩემს ყურს სწვდება ნუგეშად.

ჩემი ღამის ვარსკვლავი ხარ, ჩემი მანათობელი,
ჩემი ქალი თვალხატულა, სიხარულის მხმობელი.
გეფერები, მე ვარ შენი მოყვარული მშობელი.
მფარველ გვყავდეს ჩვენ მუდამჟამს,
მარიამ ღვთისმშობელი.

ირინე ბოლქვაძე-ბიბლიოთეკარი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ორგანიზებით უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სემინარი თემაზე: ,,პრობლემები სპორტსმენთა კვებაში. ანალიზი, შეფასება, რეკომენდაციები.'' სემინარს უძღვებოდა საქართველოს სპორტის მედიცინის ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, ექიმი ნუტრიციოლოგი, პროფესორი ქეთევან ბერიძე. მომხსენებელმა ისაუბრა კვების სტატუსისა და ორგანიზებული კვების სისტემის შესახებ, როგორც ერთ-ერთ მთავარ ფაქტორზე, რომელიც სპორტული მიღწევის დონეს განსაზღვრავს. ასევე, ხაზი გაუსვა კვების როლს სპორტსმენთა ცხოვრებაში, რადგან რაციონალური კვება არის სპორტული შრომისუნარიანობის აღდგენის ძირითადი ფაქტორი და ქმნის შესაბამის პირობებს სპორტული შედეგების გაუმჯობესებისათვის.

ამავე სემინარის ფარგლებში გეომედის საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ექიმ-რეაბილიტოლოგმა - ჯარჯი ბუზარიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება: ,,დარტყმით-ტალღოვანი თერაპია საჯდომი ძვლის ბორცვის აპოფიზიტის დროს.'' მან ისაუბრა აპოფიზიტის, ოსგუდ-შლატერის, სევერის დაავადებისა და სინდინგ ლარსენ ჯოჰანსონის სინდრომის შესახებ. მომხსენებლის მიერ განხილული იყო ასევე, ეფექტური მკურნალობის სტრატეგიები.

სემინარის ბოლოს განხილული თემების შესახებ გაიმართა საინტერესო დისკუსია და მსმენელებს გადაეცათ სერტიფიკატები.



უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა ონლაინ ვებინარი თემაზე: „Search for scientific medical information in full-text electronic journals and books, available at Teaching University Geomedi". ვებინარი ჩაატარა სამეცნიერო ელექტრონული ბაზების - EBSCO-ს მთავარი ოფისის ტრენერმა ირინა სერჟანმა. მან ვებინარზე განიხილა შემდეგი საკითხები:

- ✓ **EBSCO**-ს ბაზებში ძიების ძირითადი და გაფართოებული სტრატეგიების შექმნა;
- ✓ როგორ მოვიძიოთ და ჩამოვტვირტოთ სტატიები, მოვახდინოთ ციტირება და შედეგების ექსპორტი;
- ✓ ელექტრონული წიგნების ჩამოტვირთვის მახასიათებლები და ა.შ.

ვებინარს ესწრებოდნენ სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მეშვეობით მკითხველისთვის როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის გარეთ ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზების პაკეტი – EBSCO package, რომელიც ინტერდისციპლინური, მაღალი სტანდარტების სამეცნიერო მასალების და კოლექციების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ვულოცავთ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენის დღეს სრულიად საქართველოს!

25 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის დღეს აღნიშნავს, რომელიც მეფე ვახტანგ გორგასალის შემწეობით მიიღო 457 წელს ანტიოქიის ეკლესიისაგან. რუსეთის იმპერიამ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გააუქმა, თუმცა ქართულმა ეკლესიამ იგი 1917 წლის 25 მარტს აღიდგინა. რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მხოლოდ 1943 წელს აღიარა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს უშუალო მონდომებით კი მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ოფიციალურად 1990 წლის 4 მარტს ცნო.

სიონის საკათედრო ტაძარში ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა ჩატარდა, რომელიც პატრიარქის თანამოსაყრდნემ მეუფე შიომ აღავლინა.

გეომედის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე არსებული სარეზიდენტო პროგრამა რეზიდენტების კიდევ ერთმა ნაკადმა დაასრულა. კურსდამთავრებულებმა წარმატებით გაიარეს ორთოპედიული სტომატოლოგიის პროგრამა და სპეციალიზაციის კურსი ბავშვთა და მოზარდთა თერაპიულ სტომატოლოგიაში.

ადმინისტრაცია ულოცავს მათ და უსურვებს შემდგომ პროფესიულ განვითარებას, წინსვლასა და მადლიერი პაციენტების სიუხვეს.

სარეზიდენტო პროგრამის კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

სამედიცინო ფაკულტეტის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების კიდევ ერთმა ნაკადმა სწავლა დაასრულა. ეს მნიშვნელოვანი დღე კურსდამთავრებულებს მიულოცეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და პროფესორ-მასწავლებლებმა. სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს თავდადებისა და გვერდში დგომისთვის.

ცერემონია ქუდების ჰაერში სროლით და სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით 2011 წლის 10 ნოემბერს დაწესდა. ის მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 2012 წლიდან აღინიშნება. ამ დღესთან არის დაკავშირებული უთვალავი წინდის -„Lots of Socks" ტრადიცია, რომლის მიზანიც მასობრივი სოლიდარობის ორიგინალურად გამოხატვაა.

საერთაშორისო ორგანიზაცია DSI (Down Syndrome International), ყოველწლიურად განსაზღვრავს მსოფლიო სლოგანებს, ატარებს კონფერენციებს და ღონისძიებებს. ამ წლის მთავარი პროექტი არის ,, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის თანასწორობა''.

უნივერსიტეტ გეომედში, როგორც ყოველთვის, ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი აქტივობები.